№ 65
პარასკევი, 25 მარტი 1894

1877—1894

# ივერია

№ 65
პარასკევი, 25 მარტი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 27 მარტს.**

**მელანია გიორგის ასული წილოსნისა** სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ შაბათს, 26 მარტს, წლის წირვაზედ, რომელიც გადახდილ იქმნება **პოლკოვნიკი ნიკოლოზ იოსების ძის წილოსნის** სულის მოსახსენებლად, ვერის იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში, დილის ათ საათზე; წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება პანაშვიდი. (2—1058—2)

შაბათს 26 მარტს, დ. ს. ს. ქვრივის **ნატალია ვახტანგის ასულის ალექსიევ-მესხიშვილის** სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი. შვილები მიცვალებულისა სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მობრძანდნენ კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე.

ამ ნომერთან „ივერიის“ მკითხველებს ეგზავნებათ წიგნაკი მ. ჯ—შვილისა რუსულს ენაზედ: **„Грузинскія обители въ Святой Землѣ“**

ქართული თეატრი
კვირას, 27 მარტს
ამხანაგობა ქართულის თეატრის არტისტებისა გამართავს წარმოდგენას
წარმოდგენილი იქმნება
პირველად ახალი პიესა
**უბრალოდ დასჯილნი**
კომედ. 4 მოქ. ოსტროვსკისა. თარგ. ივ. მაჭავარიანისა
**მოთამაშენი:** ქქ. ავალიშვილისა, მაქსიმიძისა, ნებიერიძისა, ტარიელოვისა, როტინოვისა; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ცაგარელი, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, თამაზოვი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ალექსი-მესხიშვილი
ადმინისტრატორი შათირიშვილი

## გამგე კომიტეტი

„ტფილისის საქალაქო სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა“ უმორჩილესად სთხოვს ამ „საზოგადოების“ წევრთა მობრძანდნენ წლიურს კრებაზე, რომელიც ამ თვის 27 რიცხვსა, კვირას, 12 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში იქმნება. რ. (2—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობისაგან.**

ვინაიდგან ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკიდგან სესხის გატანის მსურველნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე კერძო შუამავალთ, რომ გვირჩიეთ და დაგვეხმარეთ, როგორ და რა გზით უნდა გავიტანოთ სესხიო, რისთვისაც, რასაკვირველია, სასყიდელსაც იხდიან. ამიტომ ზემოხსენებულ ბანკის მმართველობა აცხადებს და სთხოვს სესხის გატანის მსურველთ პირ-და-პირ ბანკის მმართველობას მიჰმართონ საჭირო რჩევისა და ცნობების მისაღებად და, ამით თვიდგან აიცილონ ყოველივე ის ხარჯი, რომელსაც შუამავალთა შრომისათვის იხდიან. საზოგადოდ სასურველია, რომ ბანკთან საქმის დაჭერას მოწადინებულთ თვით ბანკთანვე იქონიონ პირ-და-პირ დამოკიდებულება და მოლაპარაკება. (3—1)

## ტფილისი, 25 მარტს

—

ჩვენ მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი მდაბიო ხალხის საკითხავად ქ-ნ ეკ. გაბაშვილის თხზულება „მაგდანას ლურჯა“. ამ მშვენივრად დაბეჭდილს წიგნაკს თავში „№ 1“ უზის და მით გვიმტკიცებს, რომ პირველს წიგნს მოჰყვება კიდევ ბევრი სხვაც. „სახალხო წიგნი № 1“ წარმოადგენს დიდად სასიამოვნო პირველს ნაბიჯს, რომელიც ყურადღების ღირსია.

ჩვენი საცოდავი სოფელი, და მეტადრე გლეხ-კაცობა, მოკლებულია სწავლა-განათლებას: მრავალს ადგილში გაივლით მთელის ხეობის მრავალს სოფელს და ერთს სასწავლებელსაც ვერ შეხვდებით. თვით მამასახლისებმაც-კი ხელის მოწერა არ იციან და უყველსავე თამასუქს მარტო ბეჭდის დასმით ამტკიცებენ... თუ ვისმეს სხვაგან უსწავლია როდისმე წერა-კითხვა, ამისთანა ადგილას, სადაც ბევრჯელ გაზეთის ნაგლეჯიც-კი არ იპოვება, უეჭველად ავიწყდება ნასწავლი; ქართულის წერა-კითხვის მცოდნე კაცი სოფლად არა მრავლდება და ქალაქებშიაც-კი ამიტომ ძნელად ჰმატულობს. ქართული ლიტერატურა სოფლად თითქმის მივიწყებულია და რადგანაც ქალაქის ინტელიგენციას სოფლიდგან გამამხნევებელი ხმა არ ესმის, სოფლის საფუძვლიანს მხარსა და სიმძლავრეს მოკლებულია, ამიტომ ჩვენი ლიტერატურული მოღვაწე ისეთის გატაცებითა და თავ-გამოდებით ვერ ემსახურება თავის დანიშნულებას...

ამისთანა გარემოების შედეგი ის არის, რომ განათლების ის ბრწყინვალე შუქი, რომელიც მთელს ევროპას აგრე მშვენივრად ეფინება, ამისთანა შუქის მცირე სხივებსაც-კი მოკლებულია საბრალო სოფელი, ის სოფელი რომლის გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური ძალ-ღონე შეადგენს ჩვენის მერმისის ერთადერთს იმედსა... ამ გვარ გულდასაწყვეტ გარემოებაზედ ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ყურადღება „ივერიის“ მკითხველებისა. რადგანაც სასწავლებლის დაარსებამდე ჯერ-ჯერობით ხელი არ მიგვიწვდება, ქართულის წერა-კითხვის გასავრცელებლად ჩვენს სოფელში ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი საშუალება ის-ღა გვრჩენია, რომ გავავრცელოთ და გავამრავლოთ იაფი და საინტერესო სახალხო წიგნაკები და იმის შემწეობით ცოტაოდნად მაინც სწავლა-განათლების სხივი მოვფინოთ ჩვენს მეტისმეტად დაქვეითებულს სოფლებს.

დიდის თანაგრძნობის ღირსნი არიან ის მოღვაწენი, რომელთაც ამისთანა სასარგებლო საქმე იკისრეს. ვინატრებთ, რომ ამ მოღვაწეთ შეიძლონ რიგიანად გაუძღვნენ ამ მეტად რთულსა და ძნელს საქმეს.

მაგრამ საქმის საფუძვლიანად წარმართვასა და გაძღოლას დიდი მზადება და მუშაობა სჭირია.

წინა-პირველად გამორკვეული უნდა იყოს საფუძვლიანად, თუ უფრო რა გვარი და რა ხასიათის წიგნაკები მოსწონთ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის სოფლებში და სახალხო წიგნების მბეჭდველმა ახალმა წრემ უნდა ეცადოს ცოტაოდნად მაინც დააკმაყოფილოს კეთილშობილი სურვილი და წყურვილი სალიტერატურო ნაწარმოებისა, რომელიც შედეგია ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა. იქნება ძირეულმა გამოკვლევამ დაამტკიცოს, რომ რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურას ჩვენში ჯერ ფეხიც არ აუდგამს, ჩვენის მწერლობის მრავალი ნაწარმოები დიდის სიამოვნებით იკითხოს მდაბიო ხალხმა. სწორედ ამიტომ, ჩვენის აზრით, რუსეთის ეგრედწოდებული „სახალხო საკითხავი წიგნები“ და ქართულ მდაბიო ხალხისათვის საკითხავი წიგნები შინაარსის მხრივ სულ სხვა-და-სხვა ხასიათისა უნდა იყოს. ამ ძნელის აზრის გამორკვევას დიდის სიფრთხილითა და განსაკუთრებულის ცოდნით უნდა მოკიდება და, ჩვენის აზრით, სასურველია, რომ რაც-კი შეიძლება საჩქაროდ შეუდგნენ ამ ძირითად აზრის გამორკვევასა და შემუშავებას ამ ახლად ფეხ-ადგმულის საქმის დამწყებნი და მოთავენი.

შემდეგ, სიიაფის გარდა, რომელიც ეტყობა მხედველობაში აქვთ მიღებული პირველის წიგნაკის

# ფელეტონი

—

## ა. მ. ყაზიბეგი ბათუმში

(მოგონება)

„დასჯდა წარმართთა შორის ვერ ჰპოვა განსვენება“.
გოდება ერემიასი.

ჯერ კიდევ ვიდრე საფლავის ქვას არ გამოუხრავს გვერდი, სადაც სძგერდა ის დაწყლულებული გული, რომელიც სავსე იყო თავისის ეროვნებისა და სამშობლოს სიყვარულით და იმისისავე უნუგეშო მდგომარეობის წარმოდგენით შხამით გავსებულს ატარებდა, რაიცა გახდა უკანასკნელად მიზეზი მისის მწარე ხვედრისა; ვიდრე ჯერ კიდევ საფლავის სინოტიეს არ დაულპია და არ გაუქარწყლებია მისი ამაოდ ქცეული საუნჯე, რომლისაგანაც გამომბრწყინავი შუქი მის სამშობლო მხარეს, მის მიერ „ღვთისმშობლის ტურფა სათაყვანო წილად“ წოდებულს, სულიერ ლამპარად ენათება!.. ვიდრე საფლავის ქვავე ამოსჩეჩქს იმ თვალებს, რომელიც თუმცა მზის სინათლით ახლოს, მაგრამ ჭეშმარიტების სინათლით შორს, ძალიან შორს იყურებოდა და ხშირად მისგან უნებურად, მაგრამ სხვებისაგან შეუმჩნევლად იცრემლებოდა!.. ვიდრე ჯერ კიდევ არ დამიწებულა ის მკლავი, რომლითაც, წლობით წლობამდე მის სატრფიალო საგნების გაგონებით-კი არა, საკუთარის მეცნიერულის დაკვირვებით გასაცნობათ, მწყემსის კომბალს-კი არა, მოციქულებრივს სამწყსო კვერთხს,— ბოლოს სამხატვრო იარაღად ქცეულს, ატარებდა და ვიდრე აღსრულებულა თქმულება „მიწა ხარ და მიწად იქცევიო“,—მანამდის მეც დავსძენ ჭეშმარიტ მამულის შვილზედ იმის ბათუმში ყოფნის ამბავს.

პირადად არ ვიცნობდი განსვენებულ ყაზბეგს. ვიცნობდით ერთმანეთს შორიდან როგორც „დროების“ თანამშრომლები. აჭარიდან დაბრუნებული, როდესაც რედაქციაში აჭარის ცხოვრებიდგან «დროებაში» დასაბეჭდად შენიშვნებს ვწერდი, ამ დროს განსვენებულმა მესხმა თავს წამომაყენა ახოვანი ახალგაზრდა. „აი ეს არის ჩვენი ბათუმელი თანამშრომელიო“, უთხრა „სანდროს“. ასე უძახდნენ ყველა მისი მახლობელნი განსვენებულს! მეც, მითხრა რა იმისი ვინაობა, დასძინა: „ამ ყმაწვილსაც ჰსურს შენი გაცნობა, მაგრამ ეხლა მუსაიფს თავი დავანებოთ, ეგ შენიშვნები ხვალის ნომრისათვს მინდაო“, დაუმატა მესხმა და ჩვეულებრივი მისალმება აღარ დაგვაცალა, ხელ-მოკიდებული ისე გაიყვანა ყაზიბეგი მეორე ოთახში. ყაზიბეგს თურმე ძალიან საინტერესოდ მიაჩნდა ახლად შემოერთებულ ქართველთ მაჰმადიანების ცხოვრება და იმათი ზნე-ჩვეულება და როდესაც მესხისაგან შეეტყო რომ, მე მეორე დილით ბათუმში უნდა დავბრუნებულიყავი, ფეხი აღარ მოიცვალა რედაქციიდგან. გავათავე თუ არა წერა, ისევ ერთად შემოვიდნენ სანდრო და სერგეი, წაუკითხე ჩემი დაწერილი შენიშვნა; დაუწყო გადასწორება მესხმა ჩემს შენიშვნებს.

— რას ასწორებო? გაკვირვებით ჰკითხა ყაზიბეგმა სერგეის!

ჩვეულებრივის ტკბილის ღიმილით უპასუხა მესხმა:

— როდესაც შენ დაგნიშნავენ ცენზორად, მაშინ აღარ დასჭირდება ამის ნაწერებს გასწორება, მინამდე-კი შალაშინი, შალაშინიო.

— რომ იცოდეო, ყმაწვილო; მომიბრუნდა მე, ამან და ამის შალაშინმა უნდა მომიღოს ბოლო, აუჩემებია ცენზორი და ხშირად ჩემს ნაწერებს მე ველარ ვცნობ.

ამ სიცილ-ხუმრობით გამოვეთხოვეთ სერგეის და გავქოვედით რედაქციიდგან. ახალმა გაცნობილებმა გადავსწყვიტეთ, ერთათ გვევახშმა და მეამბნა მისთვის ბათუმისა და მისი მცხოვრებლების ამბები. სმენად იყო გადაქცეული, როდესაც უამბობდი, რომ ოსმალეთში გადასასახლებლად მომზადებულნი და დიდად დანაღვლიანებულნი არიან-მეთქი. გულის სიღრმიდან ოხრავდა, როდესაც უთხარი რანაირის ცრემლით ემშვიდობებოდნენ აჭარლები ყველაფერს, რაც-კი თავიანთ საყვარელ სამშობლო ქვეყანას და სახლ-კარს მოაგონებდათ; ცრემლი ვერ შეიმაგრა, განსვენებულმა, როდესაც ვუამბე ამბავი ერთის მოხუცებულის აჭარელ ქალისა, რომელმაც გადასახლების დროს ქმრისა და შვილების საფლავიდგან მიწა პატარა პარკში გამოიკრა და თან წაიღო სათათრეთში,—„ამაზე უნდა ვილოცო, იქ სხვა საფლავს გავუთხრი, ვითომ იქა მყავს ქმარ-შვილი დამარხულიო“. თითქმის ათს წამს ორივენი გაჩუმებულნი ვიყავით.

— ბატონო, ყოველსავე მაგას არ ასწერ, რა გაბრკოლებს? გაკვირვებით მკითხა განსვენებულმა.

— ის მაბრკოლებს, რომ ცენზორად შენ არა ხარ და სხვა ყოფილა-მეთქი!

მწარედ გაეღიმა საწყალს და ამით გავათავეთ იმ ღღევანდელი გაცნობა და მუსაიფი. ბევრი ხანი გავიდა ამის შემდეგ, რომ ერთმანეთი აღარ გვენახა.

როდესაც ქართული დრამატიული დასი მოგზაურობდა საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში, ბათუმელებსაც არ გვტოვებდა უნაწილოდ და უყურადღებოდ. ხსენებულ დასში მონაწილეობას ღებულობდა განსვენებული ყაზიბეგიც. ეს ის დრო იყო, როდესაც ბათუმის ერთი ნაწილი ეგრედწოდებული „კეთილშობილთა საზოგადოებისა“ მომდურებული მყავდა «დროებაში» დაბეჭდილის რამ-

დამბეჭდავთ, კარგი იქნება, რომ ამ წიგნების სოფლად გასავრცელებლადაც იყოს მიღებული საშუალება. ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოფელი არამც თუ ფოსტის წყალობას არის მოკლებული, არამედ ხეირიანის გზების მონატრულნიც-კია. ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ ამ ჟამად ერთი კაცი მაინც განსაკუთრებით დაქირავებული იყოს იმისთვის, რომ სახალხო წიგნაკები ავრცელოს სოფლებში დატარებით. სახალხო წიგნების ბეჭდვა და მისი გავრცელება ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, საქველ-მოქმედო საქმეა ჩვენში და ამიტომ დასასრულ ვისურვებთ, რომ ახლად დაწყებულს კეთილს საქმეს არ მოაკლდეს ის გულწრფელი თანაგრძნობა ჩვენის საზოგადოებისა და აგრეძვე ქონებრივი დახმარება, რომელიც ასე საჭიროა ამ დიდის საქმის გასაძლოლად და სასურველად წარსამართავად.

ნიკ. კავკასიძე

# ახალი ამბავი

*** ქიზიყი. ძალიან მუხანათი თვეა ეს თვე: დამდეგს ისე დარებს დაიწყებს, რომ გეგონებათ გაზაფხული დაგვიდგაო, მაგრამ მერე შემოგვიტევს და სულ ჩაგვაშხამებს ხოლმე პირველ სიამოვნებას. წელსაც ისე გვიყო: გამოიტყუა სამუშაოდ ხალხი; ხეხილმაც დაიწყო კუკურის გამოღება, მაგრამ მერე-კი მოიგიჟიანა თავი და ფაცხა-ფუცხით შეგვლალა ისევ სახლში. დადგა სრულიად საძაგელი ამინდები: ცივა, თოვს, წვიმს, ტალახი და ძანძახია. ხევები ადიდდა და მოჰშლის, რაც ძალი და ღონე აქვთ. ამ ხევებისაგან ჩვენი, ისეც დაოღრო-ჩოღროვებული გზები, მეტად გაფუჭდა. ნეტარება იმათ, საცა შეგნებული და გონიერი მოხელენი არიან: ისინი სცდილობენ გზების შეკეთებას და აკეთებენ კიდეც ისეთს დროს, როცა გლეხ-კაცი, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია. ჩვენში-კი რად არის ესეები. ხალხიც შეწუხებულია უხეირო გზების გამო, პირუტყვი საქონელიცა. ეს არის მიზეზი, რომ ზამთარში, ბევრიც რომ გინდოდეთ, ვერც ურემს და ვერც ცხენს სოფლად ქირით ვერ იშოვნით; თუ იშოვნეთ კიდევ და მეტად დიდი ფასი უნდა გადიხადოთ, თითქმის იმდენი, რამდენიც გადასატანი საქონელი ჰღირს.

*** სოფ. ერედვი (გორის მაზრა): ჩვენს სამრევლო სკოლას შემოსწირეს სამ-სამი მანეთი თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ი. დ. სულხანიშვილმა და კნ. სოფიო ქაიხოსროს ასულმა ფავლენიშვილისამ. ჩვენებურს ეკლესიას შესწირა ამას წინად თ. ვას. გიორგის ძემ ფავლენიშვილმა ორი თუმანი, რომლითაც უნდა გაკეთებულიყო ერთი გაფუჭებული კედელი. სამწუხაროდ, ეს კედელი ჯერაც არ არის გაკეთებული.

*** ცხინვალი: დიდის ხნის სურვილი ცხინვალელებისა ის იყო, რომ წყაროს წყალი გამოეყვანათ როგორმე. ამ საგნის შესახებ არა ერთხელა და ორჯერ ჰქონიათ სჯა აქაურებს და დღეს ძლივს განხორციელდა. უწყაროდ დიდად იყო ხალხი შეწუხებული, ნამეტნავად მარტიდგან დამოკიდებული ვიდრე მკათათვემდე, რადგან ამ დროს ლიახვი ამღვრეულია. დიდის მადლობის ღირსნი არიან თ. ივანე მიხეილის ძე მაჩაბელი და მეუღლე მისი ეფემია ანდრიის ასული, რომელთაც თავიანთის ხარჯით გამოიყვანეს მშვენიერი წყარო.

# დამაკვირდი

ჭამისათვის-კი არა ვცოცხლობთ, არამედ ვჭამთ იმიტომ, რომ ვცოცხლოთ.

სოკრატი

**

მოთმინება მწარეა, ხოლო ნაყოფი მისი ტკბილი.

სადი

# ნაწყვეტები

ალზდექი, ქარო ძლიერო,
დაგლიჯე არე-მარეო,
საერთო ტანჯვა-წუხილსა
ღრუბელი გადაჰყარეო,
ამო, გააქრე სიბნელე,
შენც, გაბადრულო მთვარეო,
და დაანახვეთ სამშობლოს
ქვეყნის ტკბილი და მწარეო.

# კორესპონდენცია

ს. კეთილარი. (სენაკის მაზრა). რამდენს გაჭირვებას უნდა გავუძლოთ, არ ვიცით. სოფელ კეთილარიდგან დ. აბაშამდის სულ ხუთი-ექვსი ვერსია; ამ მანძილზედ გახლავთ გზა-ტკეცილი, მაგრამ, რად გინდათ, რომ ყურადღების მიუქცევლობის გამო ეს გზა-ტკეცილი იმ ზომამდე გაფუჭებულია, რომ კარგის ჯორითა და ცხენით ვერ გაატანს კაცი; მაშინ როდესაც ოდესმე ეტლებით დავდიოდით თავისუფლად. დროზედ რომ ყურადღება მიგვექცია და ხრეში დაგვეყარა იქ სადაც საჭირო იყო, ასე აღარ მოგვივიდოდა. ერთის სიტყვით, დიდს ვაი-ვაგლახში ვართ ჩავარდნილი. ჯერ რიონი თავის მოდიდებით გულს გვიხეთქავს და ვერ გავდივართ დროზედ და მერე გზა გვაქვს ასეთი.

ოჯახს ვერ ჰნახავთ აქ, რომ ავადმყოფი არ იწვეს სურდო-ხველით, მჭვლებით, ყურის ტკივილით და «ინფლუენციით». რაც შეეხება ციებას, ეს ჭირი ხომ ჩვენთვის არ ახალია-ძველია. წარსულს წელს ჩვენში სიმინდი ბლომად მოვიდა მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ფასი არა აქვს და ამისათვის ჯერ არავის ხელი არ მოუკიდნია გასასყიდლად. ფუთი სიმინდი 30 კაპ. გახდა. სიმინდი იყო ჩვენი იმედი, ჩვენი სიმდიდრე და, ამასაც თუ ფასი არ მოემატა, დიდს სიღარიბეში ჩავვარდებით.

კეთილარელი

ს. ხეთა. (ზუგდიდის მაზრა). 19 მარტი. ს. ხეთა ერთი უდიდესი სოფელია სამეგრელოს სოფლებში. ამოდენა სოფლის პირველი საქმე სიმინდის მოყვანაა, მაგრამ ამ ბოლოს დროს გლეხობა როგორღაც გაუგულგრილდა სიმინდს; ამისი მიზეზი არა გვგონია ის იყოს, რომ მამულები არ ვარგოდეს ცოტა მოსავალს იძლეოდეს, არამედ ის არის, რომ სიმინდის ფასმა თან-და-თან იკლო. ამ ჟამად ფუთის სიმინდის ფასი 30—33—34—35 კ. ხეთელებს სხვა წყაროც აქვთ ცხოვრებისათვის... ხეთის ოღრო-ჩოღრო მთიანი ადგილები მოფენილია დაფნის ბუჩქებით. ამ ბუჩქებიდან დიდძალს ფოთლებს ჰკრეფენ და ჰყიდიან. ამ ბოლო დროს დაფნის ბუჩქებს მიაქციეს ყურადღება და სცდილობენ მის გაშენებასა და გამრავლებას. ვისაც საკუთარი დაფნის ტყე აქვს, ის საკმაოდ დაწინაურებულია; გლეხ-კაცობას ნაკლებად აქვს ამისთანა ადგილები საკუთრებად და სხვის ტყეებში მუშაობენ. ინფლუენცამ გაგვიჭირა საქმე. სენი მთელ სოფელს მოედო და, ვინ იცის, რამდენი იმსხვერპლა და კიდევ რამდენს იმსხვერპლებს.

ჩვენს სოფელში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა 1874 წლიდან და ხალხიც სცდილობს, ასე თუ ისე, გამოზარდოს, თავისი შვილები სკოლაში.

ამავე სოფელში 1891 წელს დაარსებულ იქმნა მთავრობის განკარგულებით და ნება დართვით სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლობა ითავა სემენარიელმა ე. შუშანიამ. პირველში დიდის თანაგრძნობით მიეგება საზოგადოება ამ სკოლას და დღესაც არ აკლებს თანაგრძნობას. სწორედ სასიამოვნოა ამ სკოლის ორივე სქესის მოწაფეთა წარმატება და განვითარება. სკოლის მასწავლებელმა მრავალი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები შესძინა სკოლას. მასწავლებელს აზრად აქვს შეიძინოს კიდევ წიგნები და გაჰმართოს წიგნთ-საცავი—სამკითხველო, რომელიც მცირე სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს სოფელს.

თეიმურაზ ჭიჭინაძე

# ძველ ხელ-ნაწერიდამ

(სადიდმარხვოდ)

ႵႴႫႬ ვინმე მივიდა მკურნალისა მიმართ და ჰკითხა, გაქვსა შენ მცენარე რამე მკურნები ცოდვათა, ხოლო მკურნალმან რქვა მას, მოვედ და მიიღე ძირი მორჩილებისა, ფურცელი მოთმინებისა, ყვავილი სიწმინდისა, ნაყოფი კეთილთა საქმეთა, დანაყე ფილსა შინა მდუმარებისასა, და განსცერ საცრითა გულის ხმის ყოფისათა, და შთაყარე ქურქელსა სიმდაბლისათა, დაასხ წყალი ცრემლთაგან მლოცველობისათა, აღატყინე ცეცხლითა სამრთოსა სიყვარულისათა, განაგრილე მარხვითა და დაამარილე ძმათ მოყვარებითა, და იხმიე კოვზითა სინანულისათა. და ესრეთ ყოვლისა ამის აღმასრულებელი განკურნებულ იქმნები უკუნისამდე. რომელსა ასხენ ყურნი სმენათ ისმინენ.

# შენიშვნები ძველ ქართულ ენის შესახებ

(წერილი მეორე)

ერთი თვალსაჩინო კერძოობა ენის განვითარებისა არის სიტყვათა შემოკლება, ასოთა გამოკლება. ამისთანა კერძოობას ვხედავთ ქართულს ენაშიაც. დაუკვირდით რთულ ზმნებს, რომელთაც წინ მიუძღვის თანდებულები. მაგალითად—მათეს სახარება II 8: წარავლინა; I, 9 წარვიდა; I, 13 წარიყვანე აწინდელ ფორმების მაგიერად: წაავლინა, წავიდა, წაიყვანა. თანდადებული წარ გადაკეთდა წა-დ. თანდებული წარ დარჩენილია თავის მნიშვნელობით სიტყვაში წინასწარ: წინა ნახმარია მიცემით ბრუნვაში თანდებული წარ-ის ზედმოქმედებით.

აიღეთ მეორე თანდებული გან, რომელიც აქამდის ხშირად იხმარება თავის სრულის სახით: ჩემგან, გორიდგან და სხვა. ეს თანდებული სრულის სახით შერჩენია ზმნებს ძველს ენაში; განითქვა (მათე IV, 24), აწინდელი გაითქვა, განკურნებს (მათე IV, 23), აწინდელი გაკურნება განიხარეს სიხარულითა დიდითა, აწინდელი გახარეს, განრისხა (მათე II, 15), აწინდელი გარისხა და სხვა.

როგორც ჰხედავთ, თანდებულს გან მოეკვეცა თანხმოვანი ბგერა ნ. თუ თანდებული გან წინ უძღვის სიტყვას, რომელიც ხმოვან ა-ნით იწყება, მაშინ და არ გამოაკლდება, მაგ.

---

დენისამე წერილის გამო. ეს წერილები შეეხებოდა ბათუმში პოლიცმეისტრად ნამყოფ ბ-ნ ბერსის სახლზედ თავდასხმის ამბავს, რომელთ საქმეც ქუთაისის ოლქის სასამართლომ გაარჩია და გაამართლა დამნაშავენი. ამ უკმაყოფილოდ დარჩენილებმა მოახერხეს, რომ განსვენებული ყაზიბეგი დააჯერეს, ვითომ მე პირ-მოთნეობით მეწეროს, რათა მას, როგორც რედაქციასთან დაახლოებულს კაცს, გაეფრთხილებინა რედაქცია და იგი ჩემ მიერ მიწოდებულს ცნობებს სიფრთხილით მოჰკიდებოდა; ამ ჩემს ცილის წამებაში დიდს მონაწილეობას იღებდა ერთი მანდილოსანი, რომელმაც ყაზიბეგის ყურადღება დაიმსახურა.

ამ ამბავს დაერთო ის ჭორებიც, რომლებიც გადასცეს განსვენებულს, რომ ვითომ მის მიერ „სამშობლოში“ ნათამაშევ როლს დიდად ვკიცხავდი „დროებაში“ დასაბეჭდად გაგზავნილს რეცენზიაში; ეს საკმარისი იყო, რომ ჩვენ შორის სამდურავი ჩამოეგდოთ, სანდროსათვის დაეჯერებინათ ჩემი უმეცრება და ჭორიკანობა. იქამდე აალელვეს, რომ მეორე და მესამე დღეს სცენიდან თქვენი მორჩილი მონა „ჭორიკანა კორესპონდენტად მონათლა“. განსვენებულის ამ ნაირს ქცევას არ შეეძლო ჩემი შეურაცხება არ გამოეწვია და ეს დაუყოვნებლივ ვაცნობე რედაქციას. ვაცნობე აგრეთვე რედაქციას ის წყაროები, საიდანაც და რა ნაირადაც შეეკრიბა განსვენებულს ყაზიბეგს ცნობები ჩემსა და ჩემს ნაწერებზედ აზრის შესადგენად, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დაწვრილებით მქონდა მიწერილი, რედაქციამ მაინც მოინდომა ჩემის მიწერილობის შემოწმება სცენიდან წარმოთქმულ სიტყვების შესახებ, რადგანაც ვერ წარმოედგინათ ყაზიბეგისაგან ასეთი საქციელი.

რა-კი დარწმუნდა რედაქცია, ცოტა არ იყოს მკვახე სიტყვები აკადრა თავისს თანამშრომელს. ესევე გახდა მიზეზი, რომ რედაქციას გამოეაშკარებინა ყაზიბეგის მოწერილი დეპეშა, რომლითაც იგი სთხოვდა არ დაებეჭდათ ჩემ მიერ გაგზავნილი რეცენზია „სამშობლოს“ წარმოდგენის შესახებ. ამას მოჰყვა პასუხი ყაზიბეგისა, რასაკვირველია, ჩემის ლანძღვა გინებით სავსე, ასე რომ, იმას გარდა, რომ მე გავილანძღე, განსვენებული სანდროც ბევრ ხანს ჩამოეცალა მაშინდელს რედაქციას, ვიდრე არ გამოირკვა ვინც და რაც იყო მიზეზი ზემოხსენებულ უსიამოვნებისა. ამისი გამორკვევა იკისრა ჩემ მიერ დაკმაყოფილების მოსათხოვად მიგზავნილმა განსვენებულმა მ. ნა—ძემ და კ. ცა—მა, რომლებმაც ორივეს ეს უკმაყოფილება მორიგებით გაგვითავეს, ასე რომ გუშინდელი მოსისხლე მტრები მეორე დღეს ვოხუნჯობდით ერთად... თუმც მოვრიგდით, მაგრამ განსვენებულს გულში ჰქონდა ჩარჩენილი ჩემის მიზეზით მიყენებული შეურაცხება რედაქციის მიერ.

ერთხელ ამხანაგებს დაშორებული ბათუმში დარჩენილიყო და სცხოვრებდა ევროპის სასტუმროს ერთს ნესტიანსა და ბნელს ოთახში, სადაც იმისთვის-კი არ ნაღვლობდა, რომ ასეთი ცხოვრება იმის ჯან-მთელობას ავნებდა, არამედ იმისთვის, რომ «შრომას მიშლის, ამას ვსწუხვარო“, გვითხრა მე და მის ერთად-ერთს ბათუმში თანამგრძნობელს განსვენებულს მ. ნა—ძეს, როდესაც შევიტყუეთ მისი უქეიფობა და სანახავად მივედით.

მისმა უნუგეშო მდგომარეობაში ნახვამ გვაფიქრებინა მისის ჯან-მთელობისა და მდგომარეობის ცოტადაც არის გასაუმჯობესებლად რაიმე ღონე გვეხმარა და ან მე და ან მ. ნ—ძეს სახლში მიგვეწვია. მე ვერიდებოდი, რომ ჩემი თხოვნა სხვა ნაირად არ აეხსნა და განსვენებულს მ. ნა—ძეს-კი არ შეეძლო სახლში სივიწროვის გამო მიეპატიჟნა. მე ვარჩიე, რომ ნ—ძის პირით მეთხოვნა დათანხმებულიყო ჩემთან საცხოვრებლად გადმოსვლას.

— მერე რატო თითონვე არ მითხრა, თუ-კი მეპატიჟებაო, ეთქვა სათხოვნელად მიგზავნილ ნ—ძესათვის.

— მოგერიდა, არ გწყენოდა მისი მიპატიჟება შემდეგ თქვენ შორის მომხდარ უსიამოვნებისაო, ეთქვა პასუხად ნათაძეს.

ამაზედ პასუხის მიუცემლად მისთვისვე დაწვრილებით გამოეკითხა: მეტი ბარგი ხომ არ გავუხდები, ისიც ცოლ-შვილიანი ყოფილა და ძნელია ბათუმში ცხოვრებაო“. მაინც თითონვე მოენდომებინა შეემოწმებინა, შეეძლო თუ არა ერთი ოთახი განსაკუთრებით იმისთვის დამეთმო, და ამისათვის ორივენი ჩემთან მოვიდნენ.

—მოვედი, რომ დაპატიჟებისათვის დიდი მადლობა და მოციქულის გამოგზავნისათვის უფრო დიდი საყვედური გითხრა. განა ის მიზეზი, რაც ამ ჩემი მეგობრისთვის გითქვამს, მიზეზია?.. განა შენს სახლში სტუმრად რომ ვიყო, ის დაგიხსნის, თუ გასალანძღი საქმე ჩაიდინე როდისმე? აბა, შენ ჩემზედ შემცდარი აზრი გქონია შედგენილი. დამერწმუნე, რომ მეტი ბარგი არ ვიქნები შენს ოჯახშიო, სთქვა ბოლოს. მე უარესს ცხოვრებაშიაც ვყოფილვარ მთებში, ამაზეც ავად ვყოფილვარ, მაგრამ კარგად გამხდარვარ, ვშიშობ ჩემის მიზეზით შენს ჯალაბობას შეწუხება არ მიადგესო, მეუბნეოდა განსვენებული და როცა დარწმუნდა, რომ, წრფელის გულითა ვსთხოვდით, დასთანხმდა და მეორე დღესვე გადმოებარგა ჩემთან საცხოვრებლად.

რაც დრო გადიოდა, იმდენად შინაური კაცი ხდებოდა ჩემ ოჯახში სანდრო. ასე ვსცხოვრებდით თითქმის სამს თვეს; ხშირად გველაპარაკებოდა თავის თავ გადასავალს, როცა ის მთებში მწყემსობდა. თუ არ მასთან დაახლოვებით მცნობი, ძნელად თუ ვინმე მიხვდე-

განაჩენი, განაზადი. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში ნ ეკუთვნის თანდადებულ გან-ს-კი არა იგი შეადგენს პრეფიქსს წარსულის დროის მიმღეობისას: ნაჩენი აქედგან თანდებული გა-თი. განაჩენი; ნაზადი, განაზადი და სხვა.

მივუბრუნდეთ მესამე თანდებულის განხილვას. მათე VI, 1 „მაშინ იესო აღმოიყვანა", აწინდელი ამოიყვანა, ანუ აიყვანა—თანდებული აღმა (ბერძნულ. av, რუს. воз) აწინდელ ენაში გადიქცა ა-ნად, მაღლა-ს მნიშვნელობით. ჯერ ისევ ძველს მწერლობაში აღმა გაიყო ორად და მაღლა-ს მნიშვნელობის მისაცემად იხმარებოდა თანდებული აღ: მათე V 18: არამოვედ დახსნად, არამედ აღსრულებად, აწინდელი ფორმა ასრულება. (აღმა, აღ, ა).

ვიდრე სიტყვების შეთანხმების შესახებ ვიტყვით რასმე ერთს თანდებულს კიდევ მივაქცევთ ყურადღებას: მათე IV, 3 შესძრწუნდა და ყოველი იერუსალამი მისთანა. თანდებული თან ნახმარია ნათესაობითის ბრუნვით, აწ-კი იგი თხოულობს მიცემითს ბრუნვას. მასთანა, (ძმასთანა, კლდესთანა, კუსთანა). ბერძნულს სახარებაში თანდებული მეტა ამ ადგილას ნათესაობით ბრუნვას ჰმართავს (მეტავიტუ) შეიძლება ბერძნულის ენის გავლენა იყოს, რომ ჩვენის სახარების მთარგმნელებს უხმარიათ თან ნათესაობითის ბრუნვით. რომ ბერძნულ დედანს ქართულ სახარების ენაზედ უმოქმედნია, შეიძლება მკითხველი დარწმუნდეს კიდევ აი ამ მაგალითებით: ბერძნული ნაწევარი (членъ), რომელიც არ ითარგმნება რუსულად, ლათინურად, სლავიანურად და სხვ., ქართულად გადმოღებულია ნაცვალ სახელის მნიშვნელობით: მათე V, 22 „თანამდებ არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა"; V, 25 „მიგცეს შენ წინა მოსაჯულემან მან შენმან". ამ ორივე წინადადებაში მას და მან უდრის ბერძნულ ნაწევარს ტინ და ო. მათე V, 32 ერთს გამოცემაში ქართულად შეცდომით არის ნათარგმნი: „რომელმან განუტევოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვასა სიძვისა, მან იმრუშა იგი მეორე გამოცემაში (ტფილისი, 1876 წ.) შესწორებულია ეს ადგილი: „მან ამრუშა იგი. ეს უკანასკნელი თარგმანი უდრის ბერძნულს პოიი ავტონ მეხას თე. ამრუშა, ესე იგი იძულებულ ჰყო მრუშებად. წინა წერილში მოვიხსენეთ, რომ ქართულს ზმნას ტემის და დაბოლოების შორის ემატება ნიშანი მრავლობითის რიცხვისა ნ, როცა ამ ზმნას ემორჩილება დამატება მრავლობით რიცხვში (შეკრიბნა ყოველნი მღვდელ-მთავარნი). იგივე ნიშანი მრავლობითის რიცხვისა, ჩვენთვის აწ არ ჩვეულებრივი მოვლენა, შეგვხვდა შემდეგ ადგილს: მათე v, 16 „ბრწყინევდინ ნათელი თქვენი". სიტყვა ნათელი მხოლოობით რიცხვშია ნახმარი, მაგრამ თქვენი აღნიშნავს მრავლობით რიცხვს და ამის გავლენით ზმნას მიება ნ: უნდა ყოფილიყო ბრწყინევდის ნ, ს მოეკვეთა ნ წინ და დარჩა უცნობი აწ ფორმა ბრწყინევდინ: აქვე შესანიშნია თანდებულის წინაშე-ს ხმარება: v, 16 „წინაშე კაცთა". რა ბრუნვაა კაცთა? ამ ფორმით იხმარება ნათესაობითი, მიცემითი და სხვ. ბრუნვები, მათე v, 24 აგვიხსნის ამ საკითხს: „დაუტევე იგი წინაშე საკურთხეველსა მას". მაშასადამე თანდებული წინაშე თხოულობს მიცემით ბრუნვას და ამასთანავე იგი წინუძღვის მისგან დამოკიდებულ სიტყვას. ეხლა არ შეიძლება ითქვას წინაშე მამასა, უნდა ითქვას წინაშე მამისა ანუ მამას წინაშე, ე. ი.: თუ წინაშე მიუძღვის სიტყვას, იგი თხოულობს ნათესაობით ბრუნვას და თუ უკან მისდევს, მაშინ იგი მართავს მიცემით ბრუნვას. სახარებაში წინაშე თანდებულად არ არის გადაქცეული, იგია ზმნის ზედა: წინაშე, როგორც რუსულად впередъ. თანდებული შინა აგრეთვე წარმომდგარია სიტყვიდგან შინ, შინა, რომელიც პირველად ნიშნავდა, როგორც ახლა, მდგომარეობას საგნის გულში, სახლში. ნავსა შინა მათეს IV, 21 შემდეგ იგი შეიქმნა ზმნის ზედად და აქედგან თანდებულად: შინა, ში.

ა. ხ.

# რუსეთი

—

კანონ-პროექტი იმ ღონისძიებითა შემოღებისა, რომელსაც აზრად აქვს სათავად-აზნაურო მიწად-მფლობელობის დაცვა შემუშავებული გოფმეისტერის ნ. ს. აბაზას კომისიის, სახელმწიფო საბჭომ უკან დააბრუნა ხელ-ახლად შესამუშავებლად.

—

„Standard"-ი სწერს, რომ გრაფი ლ. ნ. ტოლსტოი თხზულებას ამზადებს ფრანგ-რუსთა მანიფესტაციის შესახებაო.

მოსკოვისა და პეტერბურგის ნაფიცმა მსაჯულებმა თხოვნა შეიტანეს სასამართლოში, რომ ავაზაკობას უფრო ისინი სჩადიან, რომელთაც უკვე პირველ დანაშაულისათვის დადებული სასჯელი გადაუხდიათ, დაბრუნებულან ციმბირიდგან და იმის გამო, რომ სამუშაო ვერ უშოვნიათ და ლუკმა პური ვერ მოუპოვებიათ, იძულებულნი ყოფილან ისევ ავაზაკობისათვის მიეყოთ ხელიო. ამიტომ საჭიროა ამ ციმბირიდგან დაბრუნებულ ავაზაკთა მფარველობა და შემწეობა სამუშაოს აღმოჩენის საქმეშიო.

—

რუსეთ-გერმანიას შორის დადებულ სავაჭრო ხელ-შეკრულობის გამო ბერლინში ჩამოუსხამთ ახალი მედალი. ამ მედალის წინა პირზედ ამოჭრილია სურათები რუსეთისა და გერმანიის იმპერატორებისა მათის წარწერითურთ. მეორე მხარეს რუსულსა და გერმანულს ენაზედ სწერია: „რუსეთისა და გერმანიის სახელმწიფოთა შორის ათის წლით დადებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა კეთილადმც მოხმარდეს ორსავე ერს! 1894 წლის 20 მარტი".

## დედათა სულიერნი თვისებანი.

(ლექცია პ. თ. კაპტერიოვისა)

ფიზიკურ მგრძნობელობის მხრივ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, დედაკაცი ჩამორჩება მამაკაცს. ზოგიერთ მეცნიერის გამოკვლევა, განსაკუთრებით ჩეზარ ლომბროზოსი, ნათლად გვიმტკიცებს, რომ შეხების მგრძნობელობა დედაკაცს (ყმაწვილ ქალთა გარდა) ერთი ორად უფრო ბლაგვი და სუსტი აქვს, ვიდრე მამაკაცს. დოსტაქარნი და კბილის ექიმნი დაბეჯითებით ამბობენ, რომ დედაკაცებს უფრო იშვიათად მისდით გული ოპერაციების დროს, ვიდრე მამაკაცებსაო. მყნოსველობა მამაკაცებს დედაკაცებზედ მახვილი აქვს. რაც შეეხება სულიერს თვისებას, ყოველს შთაბეჭდილებას დედათა სულში იმდენად აზრს, იდეას არ აღძრავს ხოლმე, რამდენადაც მგრძნობელობას. დანაშაულთა საერთო რიცხვში, რომელიცკი დედაკაცებს ჩაუდენიათ, 51% პირადობის წინააღმდეგ არის ჩადენილი და 49% ქონებრივის შეძლების წინააღმდეგ; მამა კაცთა მიერ ჩადენილი დანაშაული-კი მხოლოდ 41% პირადობის წინააღმდეგ მიმართული, 49%—ქონებრივ ურთიერთობას გამოუწვევია. დედაკაცს მოძრაობა და ლაპარაკი უფრო სწრაფი აქვს, ვიდრე მამაკაცს. დედაკაცთა შორის გავრცელებულია ავაზაკობა (ყმაწვილების ხოცვა, საწამლავის დალევინება, ცეცხლის წაკიდება) ძალიან იშვიათია მამაკაცთა შორის. საყურადღებოა ის ამბავიც, რომ იტალიაში ას ქურდ-ბაცაცა ყმაწვილს ქალს შორის 25-ს მარტო იმიტომ ჩაუდენია ქურდობა, რომ საჩუქარის ყიდვა შესძლებოდა და თავისის საყვარლისათვის მიერთმევინა. განათლება ძალიან სპობს და აიშვიათებს დანაშაულს დედაკაცთა შორის. პროფესორი ფოინიცკი სწერს თავისს სტატისტიკაში, რომ უმაღლესად განათლებულ ქალთა შორის ძალიან, დიდად იშვიათია რაიმე დანაშაული და ავაზაკობა.

# უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** უნგრეთის გაზეთებში დაბეჭდილია წერილი შესანიშნავის მწერალის მავრიკი იოკაისა კოშუტის შესახებ. მოგვყავს ეს წერილი სიტყვა-სიტყვით:

„აგერ ლუდვიგ კოშუტის კუბოსთანა ვართ. ჩემს თვალთა წინაშე, წარსულ ხსოვნა-მოგონებათა ნისლში, მოსჩანს ეს გოლიათი ვაჟკაცი, სწორედ ისეთი, როგორიც უნახავს იგი ჩემს ჭაბუკს გულს სიჭარმაგეში, როდესაც გამარჯვების სხივით იყო გაბრწყინვალებული. იგი იყო ხელმძღვანელი ერისა, აღმომეტყველი დიდებულთა და ზე-აღმატებულთა აზრთა, რომლის წინაშე ქედს იხდიდნენ როგორც მე, ისე ჩემნი თანამედროვენი; იგი მოსე იყო ჩვენის სახელმწიფო აღთქმულის ქვეყნისა, ჩვენის სახელმწიფოსი, რომელიც მაშინ მხოლოდ ფიქრთა შორის არსებობდა; იგი იყო წინასწარმეტყველი თავისუფლების სარწმუნოებისა.

„მე უბრალო ჯარის-კაცთა შორის ვერიე, ჯარის-კაცთა, რომელნიც წინასწარმეტყველურის ერთგულებით მისდევდნენ უკან თავისს წინამძღოლს ბრძოლაში, რათა შეექმნათ ახალი, წმიდა, დიდებული უნგრეთი. ის იყო დიდებული წინამძღოლი ამ ყოვლად ძლიერის საქმისა. დედამიწა არასოდეს არლა შეჰქმნის იმისთანა მჭევრ-მეტყველს, ვინაიდგან იმას თავისის სიტყვის ჯადოსნობით შეძლება ჰქონდა აღენთო მყინვარი და განექრო ალი ცეცხლის მთისა. მისს შემოქმედ სიტყვისა და მთელის ქვეყნიერების განმანათლებელ აზრის მიერ შექმნილი გაერთიანებული უნგრეთი, თავისუფალი ერი, უფლებათა თანასწორობა, თავისუფლება აზრისა საუკუნოა და, განახლებულ ერის ესე განძეულობანი მარად შეკავშირებული იქნება კოშუტის სახელთან. ბედის-წერა თხოულობდა არა მარტო სიტყვასა და აზრსა, არამედ უფრო უმაღლესს სასყიდელს — მოქმედებასა და მსხვერპლს. ერი საბედის-წეროდ მომზადებული აღმოჩნდა; მის მიერ ნამსხვერპლავი შეესაბამებოდა ბედის წერის მოთხოვნილებას. ისტორია მუქთად არავის აძლევს გამარჯვებას. უნგრეთის ერს ნათელი უნდა ელო ცეცხლითა და სისხლითა, რათა განემტკიცებინა უფლება თვისის არსებობისა, და იმ ფურცლებს, რომლებშიაც ისტორიამ აღნიშნა ეს ჩინებული ბრძოლა, შემდეგნი მოდგმანი და თაობანი აღტაცებით წაიკითხავენ და ყველგან წინამძღოლის სახელს შეჰხვდებიან. ბრძოლამ დაამტკიცა ჩვენნი უფლებანი, მაგრამ ვერ განამტკიცა-კი. ჩვენთა აზრთა ოცნე-

---

ბოდა მისის სულის ღელვას; ხშირად იმის თხელს ტუჩებზედ ღიმილის გამომხატველი თრთოლვა მისი სულის და გულის შფოთვის აღმნიშვნელი იყო. ძნელად გაუგებდა ადამიანი მოწყენას, თუმცა საიმისო მხიარულიც არ იყო. ბევრჯელ არ იყო წერის გუნებაზედ, როგორც ამას თითონვე იტყოდა ხოლმე, მაგრამ სიკვდილად მიაჩნდა, თუ წერის დროს ვინმე ხელს შეუშლიდა. ხანდახან ნაკუწ-ნაკუწ ქაღალდებზედ იცოდა წერა და ბოლოს საკვირველის ხელოვნებით ერთათ თავს მოუყრიდა და შეადგენდა ერთს ვრცელს ამბავსა.

ერთ დღეს, სადილის ჭამის დროს, შევატყე მეტის-მეტი მოწყენა, თუმთა ჩვეულებრივი მწარე ღიმილი იმის ტუჩებს არ სცილდებოდა, ნაკლებად ლაპარაკობდა და არც თუ პასუხის მოცემა ეხერხებოდა.

— სანდრო, კიდევ რას მოღრუბლულხარ, შენ მთიულებში ხომ არ დაჰფრინავ? „ჰოო", მითხრა და ისევ ჩაღუნა თავი.

— კაცო, ხმა ამოიღე, მოწყენითვის რას უშველი. ღმერთმანი, ხანდისხან სასაცილო ხარ, ისეთი უცნაური ხასიათი გაქვს-მეთქი! ცოტა წყენის კილოთი უთხარი.

— ჰო, სასაცილო ვართ, არა მარტო მე, ყველანი, სასაცილონი ვართ, რომ ვეღარაფერს ვერავის ვშველით, ეს სთქვა და მომაწოდა ჯიბიდან ამოღებული ერთი გაზეთი, რომელშიაც უწმაწურის სიტყვებით იხსენიებდნენ ქართველებს და ქართულს ენას.

მინდოდა გამხიარულებულიყო და სიცილით უთხარი:

— მართალსა სწერენ, ეხლა რა ფასი აქვს, თუნდ შენი სამშობლო, თუნდ შენი ენა, ან ეროვნება?!

— რა ფასი აქვს?! ისე იკითხა განსვენებულმა სრულიად აუღელვებლად და ჩვეულებრივის ტუჩების თრთოლვით, თითქო წამოიღუღლუღაო, და მომაცქერდა.

— ჰო, რა ფასი აქვს აბა ეხლა? განვუმეორე რომ, გამომეფხიზლებინა.

— იცი რადა ღირს, ან რა ფასი აქვს? ფასი და ღირებულობაც ორნაირი აქვს. თუ გაყიდვა გინდა, ფასი ოქრო და ვერცხლია, თუ ყიდვა გინდა—სისხლია, სისხლი მისი ფასი. ან შენთვის რა საჭიროა ამისი ფასი და ღირებულობა იცოდეო, გაკაპასებული სთქვა და წამოდგა სუფრიდგან. ბევრი ხვეწნა და ბოდიში დამჭირდა და სუფრაზედ ისევ ძლივს დავსვი და ძლივს დავაჯერე, რომ, გაგეხუმრე და მხოლოდ შენი გართობა მინდოდა-მეთქი. მაინც დიდხანს გული ვერ დაიმშვიდა და ხმის ამოუღებლად იჯდა.

მეორე დღეს მოინდომა, რომ სადილზედ ან მუსაიფის დროს ოჯახობაში ერთმანეთთან უცხო ენაზედ ნურავინ ილაპარაკებსო. ჯარიმად სიტყვაში შაურის გადახდა თითონვე იკისრა. ეს ჯარიმა ყმაწვილებისათვის ხილის საყიდლად უნდა ყოფილიყო გადადებული.

ბევრხანს დარჩებოდა სუფრის მეხარჯედ ეს შესანიშნავი კაცი, ერთს სასაცილო გარემოებბს რომ არ შეეშალა ხელი.

სადილათ ვისხედით, შემოგვესწრო ერთი უცხო, მაგრამ ქართველი კაცი, გავაცანით, რასაკვირველია, ერთმანერთი. ეს ახლათ მოსული კაცი ერთთავად უცხო ენაზედ ელაპარაკებოდა ყველას და რადგანაც ენის კარგად უცოდნელობის გამო სიტყვების დაბოლოვებას ამახინჯებდა, სანდრო დიდხანს გაჩუმებული აღარც ერთს გვცემდა ხმას. ბოლოს გამოაცხადა, რომ გარდაწყვეტილი გვაქვს და ჯარიმას ვახდევინებდით ერთმანერთს, ვინც სხვა ენაზედ ილაპარაკებსო, და ხუმრობირ სთხოვა, რომ ამ გადაწყვეტილებას ისიც დაჰმორჩილებოდა. ამითი ვითომ უცხო ენაზედ ლაპარაკი უნდა მოეშლევინებინა.

სანდროს ამნაირი გარდაწყვეტილება ერთობ ეუცხოვა ჩვენს სტუმარს, თითქმის კიდევაც სწყენოდა. ამოიღო მანეთი და სანდროს მიაწოდა:

— იანგარიშეთ და ხურდა დამიბრუნეთ, რაც მერგება, ჯარიმის გამორიცხვის შემდეგაო, ხეობის კილოთი მიჰმართა განსვენებულს.

— არა ბატონო, თქვენ ჯარიმა-კი არა, დიდი ჯილდოც გერგებათ, რადგანაც ისე დაამახინჯეთ და ჯვარზედ აცვით ის ენა, რომლის ლაპარაკისთვის ჩვენ ჯარიმას ვახდევინებთ და ვსდევნით, რომ არ ვიცი რანაირად გითხრათ მადლობა. ეს სიტყვები იმნაირის შხამიანის ენით და კილოთი იყო ნათქვამი, რომ ყველანი დავჩუმდით. ლაპარაკის გაგრძელება ვეღარც ერთს გვეხერხებოდა და სუფრიდან წამოვდექით. სანდრო და სტუმარი ერთმანერთს შეჰბღვიროდნენ. ბოლოს სანდრო, ხმა ამოუღებლად, თავის საწოლ ოთახში გავიდა. ეს იყო და ეს, რომ ჯარიმის გადახდევინებაზედ ხელი აიღო.

ხშირად ვესაყვედურებოდით, რომ საცვალს ბევრჯელ არ იცვლიდა და ტანის სიფაქიზე არ უყვარდა, იშვიათად, რომ ტანთსაცმელი გაეხადა და ისე ჩაწოლილიყო ლოგინში.

— ტანის და ტანსაცმელის სიფაქიზის მძებნელნი ნაკლებად არიან სულის სიფაქიზის მქონენი გვეტყოდა პასუხად: დრო იყო, როდესაც მაგასაც ვემსახურებოდი, მაგრამ ეხლა მე მინდა ხალხს ვემსახურო და არა ჩემს თავსაო, წყრომით დაუმატებდა ნათქვამს.

ამასთან ამაყი იყო, ვით ვეფხვი მთისა, თავმდაბალი, როგორც მწირი. ერთს მის შორეულს ნაცნობს, მაგრამ მისის ვინაობის მცოდნეს შეენიშნა მისი შევიწროებული მდგომარეობა, გაეგზავნა იმისთვის კონვერტით ფული და სადარბაზო ბარათზედ დაეწერა ვისგანაც და რა აზრითაც იყო გაგზავნილი. ისე მოსვლოდა გული განსვენებულს, რომ ნაკუწ-ნაკუწად დაეხია გაგზავნილი ბარათიცა და ფულიც.

ლას—ლას—მან

ბაში დავავიწყდა, რომ ევროპის შუაგულსა ვცხოვრობთ, სადაც ყოველივე გვარჩობს და გვავიწროებს და ხელ-მოსაჭიდებელი ხავსი-კი არა გვაქვს. იძულებულ ვიყავით მუშაობა ხელ-ახლად დაგვეწყო და ჩვენი პირ-ქვე დამხობილი იდეალი სხვა გვარს საძირკველზედ დაგვემყარებინა. მთელი ერი შეუდგა ახალს საქმეს. მარტო იგი დაურჩა დარაჯად ძველთა ფუძეთა.

„ჰხედავდა განსვენებული, რომ მისი სამშობლო, თითქოს ძმობრივი კუნძული იყოსო, დღითი-დღე შორდებოდა უწინდელს ადგილს. ჰხედავდა, რომ ეს კუნძული იმოსებოდა ბზის ხეებით, საუცხოო სასახლეებით, განათლებით და ზედ აღიმართებოდა ციხე-სიმაგრე ძლიერებისა. რაც უფრო განმშვენიერდებოდა მისი სამშობლო, მით უფრო თავისის ადგილს დაცდენილად მიაჩნდა იგი. სამშობლო კი იმას ისე უყურებდა, როგორც მემნონის ძეგლს, რომელიც შორს ცის-კიდურზედ მკრთალად-ღა მოსჩანდა.

„გარნა იგი არ მოიშლის ცქერას ამა ძეგლისაკენ, რომელიც დრო და დრო აღიმაღლებს თავის ხმას, რაც უნდა მძიმე იყოს იმის სამარეზე მდებარე ქვა. ვიდრე იგი ცოცხლობდა, ერს არაფრის მიცემა არ შეეძლო. შეუძლებელია ხელ-ახლად დაწყება და ნახვა იმ სიზმარისა, რომელმაც ერთხელ გაირბინა თვალთა ჩვენთა წინაშე. იმას-კი არა ჰსურდა მცირედით დაკმაყოფილებულ იყო: იგი სულ სხვა ცდომილ ვარსკვლავის მცხოვრები იყო, სადაც ადამიანსის გრძნობა არ ულევის, რაც დედამიწის მცხოვრებს. ეხლა-კი იგი ჰხედავს წარსულსაცა და მერმისსაც და შეგნებული აქვს სრული ჭეშმარიტება ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობისა. ეხლა დადგა ის დრო, როდესაც შეგვიძლიან შევევედროთ იმის დიდებულს სულს.

„დეე ამ სულმა გარდმოავლინოს სხივი მშვიდობისა იმის ესდენ წამებულ სამშობლოს შვილთა სულსა ზედა.

„ჩვენ ყველანი, დიდნი და მცირენი, ადამიანები ვართ; ჩვენს სისხლს აღელვებს ამა-ქვეყნიურნი გულის წადილნი, ჩვენს გონებას განიტაცებს ვნებათა ღელვანი; იგი უკვე მიწიერი არსება აღარ არის, იმ-ქვეყნიური არსებაა, რომელმაც თანა წარიტანა მხოლოდ განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოს მიმართ, სიყვარული რომელიც გარდაცვალებულთაც-კი აკავშირებს დედამიწასთან. ამა სიყვარულის ძლიერებით მას ძალუძს ალგვამაღლოს თავისადმდე.

„უნგრეთის ერი — დიდებული, ბრძენი ერია. იგი დაამტკიცებს ამ წუთს, რომ შეუძლიან დიდებულად ყოფნა სხვათა დაუხმარებლად, ბრძნად ყოფნა—სხვათა რჩევის გარეშე; იგი დაამტკიცებს, რომ შეუძლია სვლა გზასა ჭეშმარიტებისასა სხვათა უხელმძღვანელოდ, ისე როგორც მისი დიდებული გული და მძლავრი გონება ვიდოდა.

„უნგრეთის ერს უნდა ესმოდეს, რომ ერთად-ერთი მისი მეგობარი ამ ქვეყნად თვით იგივეა და ერთად-ერთი მისი საშიში მტერი—იგივე. და ერიც შეიძლებს არჩევანს. სამგლოვიარო დროშათა მთელს ტყეს, რომელსაც კუბოს წინ წაიღებენ, წარუძღვება თეთრი დროშა მორიგებისა და მშვიდობისა, რომელსაც ეწერება: „და ამან დაგამარცხოთ“. კურთხეულიმც იყოს ის მიწა, რომელი შეივრდომებს ამ დიდებულ ცხედარის ნაშთს! ღვთისგანამც იქმნება კურთხეული ფერფლი მისი!“

—

**სერბია.** სერბიის უწმიდესმა სინოდმა, როგორც დეპეშამ მოგვიტანა ამბავი, უკანონოდ იცნო გაუქმება მილან ობრენოვიჩისა და დედოფალ ნატალიას ქორწინებისა. მოგვყავს ერთი ადგილი სინოდის ამ საყურადღებო დადგენილებიდგან: «ბელგრადის მთავარ-ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა სერბიისამ წინა დაუდო სინოდს წერილობითი განცხადება მეფის მილან-ობრენოვიჩ მე-IV-სა შუამდგომელობითურთ იმის შესახებ, რომ ქორწინებრივი კავშირი ჩემი და ჩემის მეუღლის დედოფალ ნატალიასი კანონიერად იქმნას ცნობილი, ვინაიდგან მისი გაუქმება, დადგენილი განსვენებულ მიტროპოლიტის თეოდოსიის მიერ 1888 წლის 12 ოქტომბერს, უკანონო იყოო. ამ შუამდგომელობის საფუძველით, როგორც იმისის სიტყვებიდგანაცა სჩანს, მეფე მილანს ჰსურს ამა გაუქმებულ ქორწინების აღდგინებით «დააკმაყოფილოს თვისი შეურაცხებული მეუღლე» და რადგან იგი აღიარებს, რომ ის მიზეზნი, რომელთა გამოც იგი ქორწინების გაუქმებას თხოულობდა, არ არსებობსო, ამიტომ გარდაწყვეტილება ქორწინების გაუქმებისა უკანონოდ უნდა იქმნას ჩათვლილი, რადგან იგი დადგენილია არა თანხმად ნამოქმედარ კანონისა და მოკლებულია ყოველსავე სასჯულო საფუძველსაო. საეპისკოპოსო სინოდი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მილანსა და დედოფალს ნატალიას შორის უთანხმოება სრულიად მოსპობილა და რომ ყოვლად მოწყალე ღმერთს, ქრისტიანე სულთა ხსნად, შთააგონებია დიდებულ მეუღლეთათვის კეთილი და თითონვე ჰგრძნობენ ეხლა, რომ მშვიდობა და თანხმობა სჯობია უთანხმოებას, და დაადგინეს: «ქორწინების გაუქმების სიგელი, გამოცემული მიტროპოლიტად ნამყოფ თეოდოსიის მიერ, ჩათვლილ იქმნას გაუქმებულად, ვინაიდგან იგი კანონის შესაფერად არ არის დადგენილი, ამასთანავე, ქორწინება, გარდახდილი 1875 წლის 5 ოქტომბერს, ბელგრადის საკათედრო ტაძარში თავადს, შემდეგ მეფე მილან ობრენოვიჩს მე-IV-სა და თავადის ასულს შემდეგ დედოფალ ნატალიას შორის, სჯულისა და კანონის თანახმად, ჩათვლილ იქმნას, არა დარღვეულად და ამიტომ მეფე მილანსა და დედოფალს ნატალიას გამოეცხადოს ეკკლესიის ლოცვა-კურთხევა, რათამცა „განაგრძონ მათ თვისი ცოლ-ქმრული ცხოვრება, ვითარცა წმიდისა მართლ-მადიდებელ ეკკლესიის კეთილთა და მართლ-მორწმუნე შვილთა და ქრისტიანობრივის, ღვთისათვის მოსაწონ საქორწინო კავშირით მოიპოვონ მადლი უფლისა და საუკუნო ცხონება“.

## გასართობი

—

უცხოელნი, რომელთაც არ უყვართ რუსეთზედ კეთილი რამ სთქვან, მოგვითხრობენ ერთს შესანიშნავ ამბავს განსვენებულის იმპერატორის მეფობისას. ამბობენ, ვითომ ერთი ადიუტანტთაგანი წარსდგა ნიკოლოოზ პავლეს ძეს წინაშე და შეევედრა მის უდიდებულესობას, ნება მიბოძეთ, დუელში გავიდე იმ აფიცერთან, რომელმაც წინადამეს, ვახშამზედ, სიმთვრალეში შეურაცხყოფა მომაყენა მოქმედებით—სილა გამარტყა და ახლა, როცა გამოფხიზლდა ბოდიშის მოხდაზედ უარს ამბობსო.

— ზნეობრივი მოვალეობა და მუნდირის პატივი გვაიძულებს, მეფეო, რომ ეს შეურაცხყოფა სისხლით იქმნას მობანილი და ამიტომ გევედრებით ნება დამრთოთ დუელში გასვლისა, რათა სიმხდალე არავინ დამწამოსო.

— რომ შენ მხდალი არა ხარ, უბრძანა ნიკოლოოზმა, მთელმა მხედრობამ იცის, რომელიც მოწამეა შენის მამაცობისა უკანასკნელს ომში, სადაც გიორგის ჯვარიც მიიღე. გაუფთხილდი შენს სიცოცხლეს, რომელიც შეიძლება დაგვჭირდეს მეცა და რუსეთსაც. რაც შეეხება სისხლით შეურაცხყოფის ჩამობანას, ეგ უსისხლოდაც შესაძლებელია.

აქ იმპერატორმა აკოცა ორივე ლოყაზედ აფიცერს და უბძანა:

— სისხლის ჩამობანა ახლა საჭირო აღარ არის!

**

ერთმა მისსიონერმა მოახსენა თავის საზოგადოებას, რომ ჩემის ქადაგებით 10,000 კაცი მოვაქრისტიანე ერთს უდაბურს კუნძულზედ, სადაც ჯერ ადამიანს ფეხი არ დაუდგამსო.

**

არის სამრიგი უცოდინარობა: არ ცოდნა, უხეირო ცოდნა და ცოდნა იმისი, რაც საჭირო არ არის.

## გამოსადეგი ცნობა

—

ყველამ იცის, რა ადვილად სკდება დაფქვილი მარილი და რა ძნელია მისი მშრალად შენახვა ნოტიო ადგილს. მარილი სკდება, ხვიმირდება და თითქმის უვარგისი ხდება. სულ უბრალო საშუალებაა ამის ასაცდენად: მარილში გაურიეთ 8—10 პროცენტი წმინდად დანაყილი სასამებელი და ასე შეზავებული მარილი არასოდეს არ მიიკარებს სისველეს იმისთანა ნოტიო ადგილსაც-კი, როგორც ზღვის პირაა.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ: ექვთიმე იესეს ძე მაღულარიას და ივანე ლევანის ძე მახარაძეს, რომლებმაც შემოსწირეს აკეთის სახალხო წიგნთ-საცავს გურიაში—პირველმა 3 მანეთი და მეორემ—5 მანეთი.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯამულეთ ბაჟუნაიშვილი

II

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ალექსანდრე ლევანის ძე თოიძეს, რომელმაც აკეთის სახალხო წიგნთ-საცავს გურიაში შემოსწირა თორმეტი ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი სულ ექვსის მანეთისა და აღგვითქვა შემდეგშიაც დახმარება.

წიგნთ-საცავის დამარსებელთაგანი სოლომონ მეიშვილი

III

ამასთანავე გიგზავნით სამ მანეთს და გთხოვთ მიუმატოთ სალიტერატურო ფონდს ორი მანეთი და შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდს—ერთი მანეთი.

კ. თავართქილაძე

# დეპეშა

27 მარტი

**პეტერბურგი.** რაკი გადაკეთდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, ამიტომ ტაინი სოვეტნიკი ერმოლოვი დანიშნულ იქმნა მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრად.

„Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი ჩვენის სატამოჟნო პოლიტიკის შესახებ და ნათქვამია, სხვათა შორის, რომ საგანგებო კრება იყო ჩვენის სახელმწიფო საბჭოსი, რომელმაც იმ კრებაზედ განიხილა რუს-გერმანელთა სავაჭრო ხელ-შეკრულობა. ამის გარდა წერილში მოყვანილია ყოველივე, რაც მოუხსენებია სახელმწიფო საბჭოსათვის ფინანსთა მინისტრს.

საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 3 სექტემბრიდამ 12-მდე ჟენევაში იქნება მეათე საერთაშორისო კრება ორიენტალისტებისა.

**ლონდონი.** პარლამენტმა 180 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 170-ისა, შეიწყნარა სარჩიელი დალციელისა, რომ შოტლანდიაში დაარსდეს საკანონმდებლო კრება განსაკუთრებით შოტლანდიის საქმეთათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მარტი.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,18 | $7\frac{1}{2}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 149 | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 243 |
| —მეორისა | $221\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — „ | — „ | $192\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | $101\frac{5}{8}$ | — „ | — „ |
| 5% | $98\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6% | $101\frac{5}{8}$ | — „ | — „ |
| 5% | $98\frac{1}{8}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — „ | — „ |

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ხიდდეკელის, წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში
მეორე გამოცემა წიგნისა:
УЧЕБНИКЪ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ
СОСТ. МИХАИЛЪ НАСИДЗЕ
цѣна 50 коп.
(10—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და ხიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. შ. კარაშეკტანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნების მაღაზიაში. კ. თავართქილაძის გამოცემული.
ყაჭის მოვლა
ნ. შარაშიძისა
56 გვერდი 10 კ.
და
მოხუცი გერასიმეს ლომი მისივე.
5 კ.
(3—1065—1)

თესლეულობით ვაჭრობა
ბ. ვ. ლარშესი
მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.
მივიღე
ახალი თესლეულობა
ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბაღჩეულისა.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. (15—13)

Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Марта 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე